2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ დაარღვია გარკვეული შეთანხმებული ფინანსური პირობები სს თიბისი ბანკთან, ამგვარად, ბანკს ჰქონდა სესხების გამოთხოვნის შესაძლებლობა. კომპანიამ სს თიბისი ბანკისგან შემდგომ პერიოდებში მიიღო უარი, რომელიც დათარიღებულია 2023 წლის 5 იანვრით და 2022 წლის 12 ივლისით, შეთანხმებული პირობების დარღვევის თაობაზე 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, ვალდებულების ვადიანობის ანალიზისთვის ზემოაღნიშნული სესხები ორივე საანგარიშგებო პერიოდისთვის ანგარიშგებებში შესულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

## 20 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია კომპანიის უნარის - გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ - დაცვა იმისათვის, რომ შეძლოს მფლობელისათვის უკუგების უზრუნველყოფა და შეინარჩუნოს ოპტიმალური კაპიტალ-სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან შეასწოროს კაპიტალ-სტრუქტურა. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ₾10,307 ათასი (2021 წლის 31 დეკემბერი: ₾ 5,875 ათასი).

## 21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის მარტში სეზანი ჯგუფმა იიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, გაესხვისებინა საკუთრება, შპს ჯორჯიან ფექიჯინგში. ჯგუფმა წარმატებით მიჰყიდა შპს ჯორჯიან ფექიჯინგის 90% წილი შპს Paper Investment Group-ს 5,500 ათას ლარად.

**შპს ჯორჯიან ფექიჯინგი**

**მმართველობის ანგარიშგება**

**საქმიანობის მიმოხილვა**

(2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის)

შინაარსი


1. კომპანიის ბიზნეს განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა. ..... 1

2. საწარმოს მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა ..... 1

3. მთავარი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები ..... 1

4. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები ..... 2

5. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები ..... 2

6. მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოო მიზანი და პოლიტიკა ფინანსურ რისკთან მიმართებაში ..... 3

7. კომპანიის საოპერაციო გარემო ..... 4

**კომპანია ჯორჯიან ფექიჯინგი**

**მმართველობის ანგარიშგება–საქმიანობის მიმოხილვა 2022**

## 1. კომპანიის ბიზნეს განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა.

2016 წელს შპს ჯორჯიან ფექიჯინგი დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საიდენტიფიკაციო ნომრით: 404052162 9. 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ერთადერთი მესაკუთრე იყო შპს სეზანი.

კომპანიის მისიაა თავის მომხმარებელს შესთავაზოს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტები, რომელიც დამზადებულია უმაღლესი ხარისხის ქაღალდისა და სხვა ნედლეულისგან. იმისათვის, რომ განვითარდეს და შენარჩუნდეს ხარისხის განვითარება და წარმოების კარგი პრაქტიკა, კომპანიაში საერთაშორისო სამუშაო ადგილის და საკვების სტანდარტების უკანასკნელი მოთხოვნების შესაბამისად ინფრასტრუქტურული დაგეგმარება და ყოველდღიური წარმოების პროცესი ინერგება.

2022 წელს კომპანიამ აღრიცხა ₾ 11,740 ოდენობის ამონაგები და წმინდა მოგებამ შეადგინა ₾ 4,432 (ათასებში). მთლიანი მოგების მარჟა 29%, იყო, სადაც ჩადებულ კაპიტალზე შემოსავალმა (ROCE) შეადგინა 30% 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის. თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 83, მათ შორისსაა 33 ქალი.

**კომპანიის სამომავლო განვითრების გეგმები.**

ბოლო წლების განმავლობაში კომპანია მეტად გაიზარდა ვიდრე გასულ წლებში. მდგრადი ზრდის და გაფართოების გამო, კომპანია 2022 წელს გადავიდა ახალ შენობაში, რომლის მშენებლობა ცოტა ხნის წინ დასრულდა და სრულად დაფინანსდა ჯორჯიან ფექიჯინგის მიერ. წარმოების ფართობი ახალ შენობაში 3-ჯერ მეტი იქნება არსებულზე, რომელიც საოპერაციო იჯარით არის ნაქირავები, რაც კომპანიას სთავაზობს პროდუქციის ხაზების გაფართოების შესაძლებლობას.

გადასვლის შემდეგ, კომპანია კონცენტრირდება პროდუქციის პორტფელის და ბაზრის განვითრების მრავალფეროვნების გაზრდაზე. კომპანიის ამჟამინდელი სტარტეგიული მიმართულება აქცენტს აკეთებს საერთაშორისო ბაზრებზე შესვლაზე და საერთაშორისო ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობების აქტიურ ძიებაზე.

## 2. საწარმოს მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2022 წლის განმავლობაში კომპანია არ იყო ჩართული კვლევისა და განვითრების საქმიანობაში.

## 3. მთავარი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

მთავარი ფინანსური მაჩვენებლის ანალიზი შემდეგია:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **ამონაგები** | **11,740** | **5,766** |
| **მთლიანი მოგება** | **3,459** | **1,553** |
| მთლიანი მოგების მარჟა | 29% | 27% |
| **წმინდა მოგება** | **4,432** | **727** |
| მოგების მარჟა | 38% | 13% |

## 4. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

2022 წელს კომპანია შეთანხმდა უკეთეს საკრედიტო პირობებზე ადგილობრივ ბანკთან, რითაც ლარში აღრიცხული სესხები დაკონვერტირდა ევროში.

## 5. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკი საანგარიშგებო პერიოდებში. მთავარი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები შემდეგნაირია:

| | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ვალი აქტივებზე | 65% | 77% |
| ვალი კაპიტალზე | 184% | 332% |
| ლევერიჯი | 2.84 | 4.32 |

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე კოეფიციენტი შესაბამისად იყო 0.33 და 0.19.

## 6. მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოო მიზანი და პოლიტიკა ფინანსურ რისკთან მიმართებაში

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

| რისკისა და განუსაზღვრელობის განმარტება | ხელმძღვანელობის პასუხი |
|---|---|
| **პოლიტიკური რისკები** –სასკოლო წიგნები სახელმწიფოს მიერ მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცემა ყოველ წელს. ვინაიდან მშობელი კომპანია (შპს სეზანი) წარმოადგენს სასკოლო წიგნების ბეჭდვის ერთერთ მთავარ კონტრაქტორს, გაყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი სასკოლო წიგნების ბეჭდვის ტენდერიდან მოდის. აღსანიშნავი ფაქტია, რომ, 2020 წელს მშობელი კომპანია არ მონაწილეობდა ტენდერში და ამით მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო დაკარგა. ეს არის რისკი, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული ყოველწლიურად. | მშობელი კომპანიის დაარსებიდან, წარმოების პირველი ხაზი წიგნები იყო. ასე რომ, წიგნების ბეჭდვის ინდუსტრიაში 24 წლიანი გამოცდილების და უმეტესობა გამომცემლობებთან კავშირების გამო კომპანიას კონკურენტების წინაშე უპირატესობა გააჩნია და ყოველთვის მზადაა მოულოდნელი და გამომწვევი სცენარებისთვის. მეორეს მხრივ, მშობელ კომპანიას აქვს ყველაზე დიდი აღჭურვილობის ბაზა . 2021 წელს იგი კვლავ მონაწილეობდა სასკოლო წიგნების ბეჭდვაში, როგორც ქვე-კონტრაქტორი. 2022 წელს კომპანიამ მოიგო ტენდერი და გახდა მთავარი კონტრაქტორი. აღსანიშნავი ფაქტია, რომ კომპანია სტაბილურად ინარჩუნებს 20-30%-იან წილს სახელმწიფო ტენდერში, რაც ამყარებს მის პოზიციას ქვეყნის ბაზარზე. |
| **სავალუტო რისკი -** მასალების შეძენა უმეტესწილად უცხოური ვალუტით ხდება საკრედიტო პირობებით, თუმცა გაყიდვების უმეტესობა ადგილობრივ ვალუტაშია წარმოებული. არსებობს პოტენციური ზარალის რისკი ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო. | ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ, კომპანია მეტად ორიენტირებული იქნება ექსპორტზე. გაზრდილი უცხოური ამონაგები გადაფარავს ქართული ლარის იმ მერყეობის რისკს, რომელსაც იგი ისტორიულად განიცდის. ასევე, 2022 წელს ლარი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით გამყარდა წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით. ადგილობრივი კურსის ზრდის ტენდენცია აღინიშნება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომაც, რაც ამცირებს მასალების უცხოურ ვალუტაში შეძენით გამოწვეული ზარალის რისკს. |

## 7. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში.

პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკამ 10.5%-იანი აღმასვლა განიცადა, ძირითადად შემოდინებების განახლებისა და შიდა მოთხოვნის ზრდის გამო. რაც შეეხება 2022 წელს, რეალური მშპ 10.1%-ით გაიზარდა და ლარი მყარ ვალუტებთან, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით გამყარდა.

რუსეთის სამხედრო შეჭრას უკრაინაში უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია საქართველოს ეკონომიკაზე, პირიქით გაზრდილმა მიგრაციამ და ტურიზმის აღდგენამ დადებითად იმოქმედა მრავალ ინდუსტრიაზე. კომპანიას არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი პირდაპირი დაქვემდებარება რუსეთზე, უკრაინასა და ბელარუსზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოში და თვლის, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ტარიელ შავერდაშვილი
დირექტორი

2023 წლის 29 სექტემბერი

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N231373218 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 29.09.2023 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **სალომე სალუქვაძე** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 577921111 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 21449294470323 |

ორიათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს ჯორჯიან ფექიჯინგი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ები) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2022 წლის 31 დეკემბერი - თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 114.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსისი 166-ე მუხლის თაანხმად 20.52 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 139.52 ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ები)
მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერი

## შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 2
მოგების ან ზარალის ანგარიშგება ..... 3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ..... 4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ..... 5

ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა ..... 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო ..... 5
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება ..... 6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ..... 15
5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 17
6 ძირითადი საშუალებები ..... 19
7 გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები ..... 20
8 ფინანსური იჯარის მოთხოვნა ..... 20
9 მარაგები ..... 21
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 21
11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ..... 21
12 საწესდებო კაპიტალი ..... 22
13 ნასესხები სახსრები ..... 22
14 სავაჭრო და სხვა ვალდებულება ..... 23
15 ამონაგები ..... 23
16 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები ..... 24
17 სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, ნეტო ..... 24
18 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, ნეტო ..... 24
19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები ..... 25
20 კაპიტალის მართვა ..... 26
21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 26

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯორჯიან ფექიჯინგის მესაკუთრესა და ხელმძღვანელობას

## ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ჯორჯიან ფექიჯინგის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**აუდიტის საგანი**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

## მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**დამოუკიდებლობა**

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე ჩვენს მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან  მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2023 წლის 29 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| ათასი ლარი | შენიშვნა | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 6 | 20,704 | 21,432 |
| ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი | 7 | 12 | 251 |
| ფინანსური იჯარის მოთხოვნა | 8 | 2,298 | - |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **23,014** | **21,683** |
| **მოკლევადიანი აქტივები** | | | |
| მარაგები | 9 | 2,247 | 2,274 |
| ფინანსური იჯარის მოთხოვნა | 8 | 111 | - |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 10 | 3,081 | 1,176 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 11 | 785 | 226 |
| **სულ მოკლევადიანი აქტივები** | | **6,224** | **3,676** |
| **სულ აქტივები** | | **29,238** | **25,359** |
| **კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 12 | 8,061 | 8,061 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | | 2,246 | (2,186) |
| **სულ კაპიტალი** | | 10,307 | 5,875 |
| **ვალდებულებები** | | | |
| **მოკლევადიანი ვალდებულებები** | | | |
| ნასესხები სახსრები | 13 | 16,825 | 17,160 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 14 | 2,106 | 2,324 |
| **სულ მოკლევადიანი ვალდებულებები** | | **18,931** | **19,484** |
| **სულ ვალდებულებები** | | **18,931** | **19,484** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **29,238** | **25,359** |

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2023 წლის 29 სექტემბერს

_____

**ტარიელ შავერდაშვილი**
**დირექტორი**

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
წლის მოგებისა და ზარალის ანგარშგება

| ათასი ლარი | შენიშვნა | 2022 | 2021 |
|---|---|---|---|
| ამონაგები | 15 | 11,740 | 5,766 |
| რეალიზაციის თვითღირებულება | | (8,281) | (4,213) |
| **მთლიანი მოგება** | | **3,459** | **1,553** |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 16 | (1,225) | (742) |
| დისტრიბუციის ხარჯი | | (141) | (72) |
| სხვა საოპერაციო დანახარჯები | 17 | (341) | (162) |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 17 | 1,320 | 589 |
| **საოპერაციო მოგება** | | **3,072** | **1,166** |
| ფინანსური შემოსავალი | 18 | 2,840 | 1,037 |
| ფინანსური ხარჯები | 18 | (1,480) | (1,476) |
| **მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **4,432** | **727** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | - | - |
| **წლის მოგება** | | **4,432** | **727** |
| სხვა სრული შემოსავალი | | - | - |
| **სულ წლის სრული შემოსავალი** | | **4,432** | **727** |

შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-26, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| ათასი ლარი | შენიშვნა | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი დეფიციტი) | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს** | | **6,861** | **(2,913)** | **3,948** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | 12 | 1,200 | - | **1,200** |
| წლის მოგება | | - | 727 | **727** |
| სულ სრული შემოსავალი 2021 წლისთვის | | - | 727 | **727** |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს** | | **8,061** | **(2,186)** | **5,875** |
| წლის მოგება | | - | 4,432 | **4,432** |
| სულ სრული შემოსავალი 2022 წლისთვის | | - | 4,432 | **4,432** |
| **ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს** | **12** | **8,061** | **2,246** | **10,307** |

შპს ჯორჯიან ფექიჯინგი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

| ათასი ლარი | შენიშვნა | 2022 | 2021 |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| ფულადი სახსრების შემოსულობა მომხმარებლებისგან | | 11,335 | 6,116 |
| მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები | | (9,636) | (3,260) |
| ფულადი სახსრები სხვა ოპერაციებიდან | 17 | 550 | 550 |
| **ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები** | | **2,249** | **3,406** |
| გადახდილი პროცენტი | 13 | (1,392) | (1,483) |
| გადაცემა შეზღუდული ფულადი სახსრებიდან /(შეზღუდულ ფულად სახსრებში) | | - | 524 |
| **ოპერაციებიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები** | | **857** | **2,447** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | | (2,589) | (4,221) |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები** | | **(2,589)** | **(4,221)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | | |
| შენატანები საწესდებო კაპიტალში | | - | 1,200 |
| შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან | 13 | 5,395 | 230 |
| ნასესხები სახსრების დაფარვა | 13 | (2,978) | (505) |
| **წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან** | | **2,417** | **925** |
| უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა | | (126) | (19) |
| **წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში** | | 559 | (868) |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 11 | 226 | 1,094 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | 11 | 785 | 226 |

## 1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯორჯიან ფექიჯინგი“ დაარსდა 2016 წლის 20 ოქტომბერს და რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404521629. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც მდებარეობს საქართველოში და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი მფლობელი არის შპს სეზანი.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მოსარგებლე მფლობელი არის ბატონი ტარიელ შავერდაშვილი, რომელიც, ასევე, ჩართულია კომპანიის მართვაში. 2022 წლის 31 დეკემბრის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ტარიელ შავერდაშვილი ფლობდა შპს „სეზანის“ 60%-ს (100% 2020 წლის 31 დეკემბრისთვის).

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანია ქართულ ბაზარზე 2016 წლიდან არის წარმოდგენილი. ჯორჯიან ფექიჯინგი მოიცავს ქაღალდის შეფუთვის ბაზრის სეგმენტის სრულ სპექტრს , მათ შორისაა სხვადასხვა ზომის ქაღალდის ჭიქები, პლასტმასის ხუფები, ქაღალდის ყუთები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სწრაფი კვების ინდუსტრიაში და ეკოლოგიურად სუფთა კრაფტ ქაღალდის ჩანთები საცხობი და სხვა პროდუქტებისთვის.

**საქმიანობის ადგილი და რეგისტრირებული მისამართი.** კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ვირსალაძის ქუჩა 8, თბილისი, საქართველო. კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია არჩილ მეფის 1, თბილისი, საქართველო

**წარსადგენი ვალუტა.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (“₾”).

## 2 კომპანიის საოპერაციო გარემო

**საქართველოს ბიზნეს გარემო.** კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებასთან ერთად.

**COVID-19.** 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პანდემიის საპასუხოდ, COVID-19-ის გავრცელებისა და ზეგავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო შესაბამისი ზომები, როგორებიცაა კარანტინი, თვითიზოლაცია, სამოგზაურო და ბიზნეს საქმიანობის სხვა შეზღუდვები, მათ შორის საქმიანობის შეწყვეტა. ზოგიერთი ზემოაღნიშნული შეზღუდვა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებობს რისკი, რომ ხელისუფლებამ დააწესოს დამატებითი შეზღუდვები 2023 წელს, ვირუსის ახალი ვარიანტების გამოჩენის საპასუხოდ.

**ომი რუსეთსა და უკრაინას შორის.** 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. საერთაშორისოდ მიჩნეული როგორც ომი, ეს შეჭრა არის ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ ომმა ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და სახლები. უკრაინაში ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე. უამრავმა კომპანიამ საქმიანობა შეწყვიტა რუსეთსა და ბელარუსში. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

კომპანიას პირდაპირი კავშირი არ აქვს უკრაინასთან, რუსეთთან და ბელარუსთან. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამას არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

**მომზადების საფუძველი.** წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის“ (ფასს-ები მსს-სთვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამარტებულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

**უცხოური ვალუტის გადაანგარიშება.** კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა). კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (₾).

**ოპერაციები და ნაშთები.** უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში კონვერტირდება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადაყვანიდან საქართველოს ბანკის მიერ განსაზღვრული წლის ბოლოს არსებული ოფიციალური სავალუტო კურსით, აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, რომლებიც წარმოიქმნება მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებებისგან წარმოდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც წმინდა სავალუტო შემოსულობა/ზარალი. სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან წარმოდგენილია მოგებისა და ზარალი ანგარიშგებაში, ფინანსური შემოსავლისა და ხარჯების ნაწილში. წლის ბოლოს არსებული კურსებით კონვერტაცია არ გამოიყენება არა-ფულადი მუხლებისთვის, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო აშშ დოლარი („USD“) 1 = 2.7020 ლარი და ევრო („EUR“) 1 = 2.8844 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი. 1 = 3.0976 ლარი და 1 ევრო = 3.5040 ლარი).

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საშუალო გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2.9099 ლარი და 1 ევრო = 3.0683 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 3.2306 ლარი და 1 ევრო = 3.5332 ლარი). ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ უმეტეს ქვეყნებში.

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურებით. ქარხნისა და მანქანა-დანადგარების თვითღირებულება მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღით, 2017 წლის 1 იანვარი, განისაზღვრა ამ თარიღზე არსებული მისი რეალური ღირებულების მითითებით („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში, „სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯებში“. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

**ცვეთა.** მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ნარჩენ ღირებულებაზე მისი ღირებულების გასანაწილებლად:

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის ფარგლები შემდეგია:

| | მომსახურების ვადა წლებში |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 60 |
| ქარხანა და მანქანა-დანადგარები | 7 - 20 |
| საოფისე მოწყობილობები | 5 - 10 |
| ავტომობილები | 5 - 10 |

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, აქტივი უკვე იმ ხნის და იმ მდგომარეობაში რომ იყოს, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროების შემთხვევაში.

ფინანსური იჯარის მოთხოვნები. როდესაც კომპანია მეიჯარეა, რომელიც საკუთრებაში არსებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს მოიჯარეს, იჯარით აღებული აქტივები წარმოდგენილია როგორც ფინანსური იჯარა თანხით, რომელიც იჯარაში წმინდა ინვესტიციის ოდენობას უტოლდება. დაწყების თარიღისთვის იჯარაში წმინდა ინვესტიციის შეფასება მოიცავს შემდეგ საიჯარო გადახდებს:

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

- ფიქსირებული გადახდები (არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების ჩათვლით), შემცირებული ნებისმიერი საიჯარო წამახალისებლის ვალდებულებით.

ფინანსური იჯარის მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება დაწყებიდან (როდესაც იწყება იჯარის ვადა), იჯარაში ნაგულისხმევი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რათა შეფასდეს წმინდა ინვესტიცია იჯარაში.

მთლიან მოთხოვნასა და დისკონტირებულ ღირებულებას შორის განსხვავება წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში ნეტო საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით (დაბეგვრამდე), რაც ასახავს მუდმივ პერიოდულ უკუგების განაკვეთს. იჯარის თაობაზე მოლაპარაკებასა და შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები აისახება ფინანსური იჯარის მოთხოვნის საწყის შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებული შემოსავლის ოდენობას. იჯარიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში აისახება, სხვა შემოსავლის ნაწილში.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება გამარტივებული მიდგომის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იგივენაირად, როგორც სავაჭრო მოთხოვნები.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ნიშანი გაუფასურების შესახებ. თუ რაიმე ასეთი მითითება არსებობს, მაშინ ფასდება აქტივის ანაზღაურებადი თანხა.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომელთა შემოწმება შეუძლებელია ინდივიდუალურად, გაერთიანებულია იმ აქტივების უმცირეს ჯგუფში, რომლებიც უწყვეტი მოხმარების შედეგად წარმოქმნიან ფულადი სახსრების შემოდინებას, რაც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების (CGU) მიერ ფულადი სახსრების შემოდინებისგან. კომპანიის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ცალკეულ ფულადი სახსრების შემოდინებას და გამოიყენება ერთი CGU-ს მიერ.

აქტივის ან CGU-ის ანაზღაურებადი თანხა არის უდიდესი მისი გამოყენების ღირებულებასა და მის რეალურ ღირებულებას, შემცირებულს გაყიდვის ხარჯებით, შორის. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ დრევანდელ ღირებულებამდე დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და აქტივის ან CGU-სთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. CGU-სთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება CGU-ში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად, პროპორციულ საფუძველზე. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ნებისმიერი მინიშნებისთვის, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი ანაზღაურდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი თანხის დასადგენად გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ გადააჭარბებს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გარეშე, რომ არ აღიარებულიყო გაუფასურების ზარალი.

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

**ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები.** მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად, ბაზრის მონაწილეთა შორის გარიგებისას შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორებიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება არის შეფასება, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადაცემებს, ითვლება, რომ ადგილი ჰქონდათ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (''AC'') არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით (“ECL”). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობა საბაზრო განაკვეთების მიხედვით არ განისაზღვრება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

**ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება**. ძირითადი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისას, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას. საფინანსო ოპერაცია შეიძლება მითითებული იყოს საქონლის ან მომსახურების გაყიდვასთან დაკავშირებით, მაგალითად, თუ გადახდა გადავადდა ჩვეულებრივი ბიზნეს პირობების მიღმა ან ფინანსდება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი. თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის.

**ფინანსური ინსტრუმენტები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება**. სავალო ინსტრუმენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება ფულადი სახსრების ან სხვა ანაზღაურების არადისკონტირებული ოდენობით, რომლების გადახდა ან მიღება მოსალოდნელია გა (ანუ გაუფასურების გარეშე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას. თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას, კომპანია სავალო ინსტრუმენტს აფასებს სამომავლო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის.

**ფინანსური აქტივები – ჩამოწერა.** ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

**ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა.** კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადაცემულია აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა.

**სავაჭრო მოთხოვნები.** სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

**გადახდილი ავანსი.** გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგებაში ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

**მარაგები .** მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით. გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულება.** სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

**ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები.** ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

**ნასესხები სახსრები.** ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, გარიგებისთვის გაწეული ხარჯების გარეშე და შემდგომში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

**საწესდებო კაპიტალი**. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი, 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე), გადასახდელია ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი დაბეგვრისგან გათავისუფლებულია 2017 წლის 1 იანვრიდან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე დარიცხულ ფაქტიურ მოგების გადასახადს.

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ აღიარება შეწყვიტა ყველა გადავადებულ საგადასახადო აქტივს და ვალდებულებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამისი გავლენა მოგებაში ან ზარალში აღრიცხა 2016 წელს. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.
დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება 'საოპერაციო ხარჯებში მუხლში - 'გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა'.

**გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა.** ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციების კორექტირებები აღირიცხება მოგებს გადასახადის საფასურში.

**დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ).** წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე.

**ამონაგების აღიარება..** ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტირების, მოცულობითი ფასდათმობების და დღგ-ს გარეშე. კომპანია აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონიმიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

## 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება ამ საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, როგროც წესი, საქონლის გადაზიდვისას. როდესაც კომპანია თანხმდება საქონლის კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე ტრანსპორტირებას, ამონაგები აღიარდება როდესაც საქონელი დანიშნულების ადგილზე გადაეცემა მომხმარებელს.

**სახელმწიფო გრანტები.** მთავრობისგან მიღებული გრანტები აღიარდება მათი რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ, როდესაც არსებობს გონივრული რწმუნება გრანტის მიღების შესახებ და კომპანიას დაკმაყოფილებული აქვს ყველა თანდართული პირობა. მიღებული გრანტები, სადაც ჯგუფს ჯერ არ დაუკმაყოფილებია ყველა თანდართული პირობა, აღიარებულია ვალდებულებად (და შედის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში, გადავადებულ შემოსავალში) და გადავა შემოსავალში, როდესაც დაკმაყოფილდება ყველა თანდართული პირობა. მიღებული სახელმწიფო გრანტები შესულია „სხვა შემოსავალში“ , მოგებაში ან ზარალში.

**დასაქმებულთა გასამრჯელოები.** ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

**საოპერაციო იჯარა.** როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუქცევადი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

## 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში.

ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

**ფუნქციონირებადი საწარმო.** ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე ფინანსური ბაზრების გავლენა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ 2022 და 2021 წლებში კომპანიამ დაარღვია სს თიბისი ბანკთან სასესხო ხელშეკრულებით გაფორმებული გარკვეული ფინანსური შეთანხმებები და, შესაბამისად, 16,824 ლარის და 17,160 ათასი ლარის ოდენობის სესხები კლასიფიცირდა, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეტროსპექტიულად (იხილეთ შენიშვნა 13). კომპანიამ შემდგომში ბანკიდან მიიღო უარის წერილი, რომელიც გულისხმობს, რომ ბანკი არ განიხილავს დარღვეულ შეთანხმებებს სესხების დაჩქარების საფუძვლად და ეს გარემოება არ ჩაითვლება დეფოლტის მოვლენად.

კომპანიის მიმდინარე საქმიანობის ანალიზზე და იმ რესურსების ხელმისაწვდომობაზე დაყრდნობით, რომლებზეც კომპანიას მოთხოვნების შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს წვდომა, მიზანშეწონილია ვეღოდოთ, რომ კომპანია წარმატებით გამოასწორებს სასესხო შეთანხმებების აღნიშნულ დარღვევას. ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ არ არსებობს რაიმე სახის ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანია საქმიანობას გააგრძელებს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს რაიმე სახის კორექტირებას, რომელიც დაკავშირებულია აღრიცხული აქტივების თანხების ანაზღაურებადობასა და კლასიფიკაციასთან და ვალდებულებების კლასიფიკაციასთან, რომელიც შესაძლოა საჭირო გახდეს, თუ კომპანია ვერ შეძლებს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

**ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

## 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება.** მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. კომპანია საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე.

გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსის საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც ინდივიდუალურად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად კომპანიის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიური პროცენტებისადმი. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება მომავალში გადაიხედოს, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან მოლოდინზე, რომელიც ემყარება ყველა იმ ფაქტს, რომლის გარემოცვაშიც არის დაქვემდებარება (შენიშვნა 10).

**დაკავშირებული მხარის ოპერაციების საწყისი აღიარება.** საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, კომპანია დებს გარიგებებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა გარიგებების ფასი საბაზრო ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, მაშინ, როდესაც ასეთი გარიგებების აქტიური ბაზარი არ არსებობს. განსჯის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარეების ნაშთების ვადები და პირობები მოცემულია მე-5 შენიშვნაში.

## 5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

მშობელი საწარმო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო და საბოლოო მშობელი კომპანია არის შპს სეზანი, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ბ-ნი ტარიელ შავერდაშვილი, რომელიც ასევე მონაწილეობს კომპანიის მართვაში.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემოსავლისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

| ათასი ლარი | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები |
|---|---|
| საქონლის გაყიდვა | 58 |
| ნედლეულისა და სახარჯო მასალების შეძენა | 2,013 |
| ფინანსური შემოსავალი საიჯარო მოთხოვნებზე | 166 |

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემოსავლისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

| ათასი ლარი | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები |
|---|---|
| საქონლის გაყიდვა | 60 |
| ნედლეულისა და სახარჯო მასალების შეძენა | 720 |

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

| ათასი ლარი | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები |
|---|---|
| ფინანსური იჯარის მოთხოვნა | 2,409 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულება | (1,304) |
| ნასესხები სახსრები | (423) |

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

| ათასი ლარი | საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები |
|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | (1,536) |
| ნასესხები სახსრები | (489) |

**მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება.** მთავარი ხელმძღვანელი პირები მოიცავს დირექტორს (აღმასრულებელს) და გენერალურ მენეჯერს.

## 5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია ქვემოთ:

| ათასი ლარი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| მოკლევადიანი სარგებელი:: | | |
| - ხელფასები და ბონუსები | 168 | 129 |
| **სულ, მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება** | **168** | **129** |

## 6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში მოძრაობა იყო შემდეგი:

| ათასი ლარი | მიწა | შენობა-ნაგებობები | დაუმთავრებელი მშენებლობა * | ქარხანა და დანადგარები | ავტომობილები | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს | 2,043 | 120 | 13,182 | 3,140 | 360 | 54 | **18,899** |
| დაგროვილი ცვეთა | - | - | - | (982) | (58) | (19) | **(1,059)** |
| **საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს** | **2,043** | **120** | **13,182** | **2,158** | **302** | **35** | **17,840** |
| დამატებები | - | - | 3,823 | 68 | - | 7 | **3,898** |
| ცვეთის დარიცხვა | - | - | - | (259) | (31) | (16) | **(306)** |
| ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს | 2,043 | 120 | 17,005 | 3,208 | 360 | 61 | **22,797** |
| დაგროვილი ცვეთა | - | - | - | (1,241) | (89) | (35) | **(1,365)** |
| **საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს** | **2,043** | **120** | **17,005** | **1,967** | **271** | **26** | **21,432** |
| დამატებები | - | - | 1,572 | 377 | - | 5432 | **2,0031, 981** |
| გადაცემა კატეგორიებს შორის | - | 9,761 | (9,761) | - | - | - | **-** |
| გადაცემა ფინანსური იჯარის მოთხოვნაში | - | (2,185) | - | - | - | - | **(2,185)** |
| ცვეთის დარიცხვა | - | (141) | - | (334) | (36) | (13) | **(524)** |
| ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს | 2,043 | 7,696 | 8,816 | 3,585 | 360 | 93 | **22,593** |
| დაგროვილი ცვეთა | - | (141) | - | (1,575) | (125) | (48) | **(1,889)** |
| **საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს** | **2,043** | **7,555** | **8,816** | **2,010** | **235** | **45** | **20,704** |

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს თბილისში, დიდ დიღომში ახალი ქარხნის ნაწილის და საოფისე შენობის მშენებლობას. შენობის 18 400 კვადრატული მეტრი დასრულდა და მზად იყო გამოსაყენებლად 2022 წლის განმავლობაში. დასრულების შემდეგ აქტივები გადავა შენობა-ნაგებობებში.

დასრულების შემდეგ შენობიდან 3000 კვადრატული მეტრი სასაწყობო ფართი ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გადაეცა კომპანიის დაკავშირებულ მხარეს (შპს სეზანი მასალებს) (შენიშვნა 8).

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები შესაბამისი საბალანსო ღირებულებებით ₾19,868 და ₾ 15,935 დაგირავდა, როგორც უზრუნველყოფა თიბისი ბანკის სასარგებლოდ. კომპანია არ მოელის, რომ თიბისი ბანკი დაიწყებს დაგირავებული აქტივების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევის პროცესს. (შენიშვნა 13).

## 7 გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

| ათასი ლარი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები 1 იანვარს** | **251** | **590** |
| დამატებები | 753 | 668 |
| გადაცემები ძირითად საშუალებებში | (992) | (1,007) |
| **სულ გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები** | **12** | **251** |

## 8 ფინანსური იჯარის მოთხოვნა

ფინანსური იჯარის მოთხოვნის დაფარვის ვადის ანალიზი შემდეგია:

| ათასი ლარი | დაფარვის ვადა 1 წელიწადში | დაფარვის ვადა 1-დან 2 წლამდე | დაფარვის ვადა 2-დან 3 წლამდე | დაფარვის ვადა 3-დან 4 წლამდე | დაფარვის ვადა 4-დან 5 წლამდე | გადახდიდ აფარვის ვადა 5 ან მეტი წლის განმავლო ბაში | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფინანსური იჯარის არადისკონტირებული გადახდის მოთხოვნა 2022 წლის მდგომარეობით | 259 | 259 | 259 | 259 | 259 | 2,332 | **3,627** |
| გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი | (148) | (141) | (133) | (125) | (116) | (555) | **(1,218)** |
| საკრედიტო ზარალის ანარიცხი | - | - | - | - | - | - | - |
| **იჯარის გადახდების მოთხოვნის დღევანდელი ღირებულება 2022 წლის მდგომარეობით** | **111** | **118** | **126** | **134** | **143** | **1,777** | **2,409** |

2022 წელს შენობის ნაწილის მშენებლობა დასრულდა და შენობის 3000 კვადრატული მეტრი ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გადაეცა დაკავშირებულ მხარეს (სეზანი მასალები) (შენიშვნა 6). სამომავლო საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 2,409 ათას ლარს (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ნული).

კომპანია გამარტივებულ მიდგომას იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას. რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა ფინანსური იჯარის მოთხოვნებისთვის.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური იჯარის მოთხოვნებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ნული (.

## 9 მარაგები

| ათასი ლარი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ნედლეული | 1,994 | 2,077 |
| მზა საქონელი | 122 | 102 |
| მიმდინარე სამუშაო | 51 | 95 |
| სხვა* | 80 | - |
| **სულ მარაგები** | **2,247** | **2,274** |

2022 და 2021 წლების საანგარიშგებო პერიოდში დანახარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება შესაბამისად ₾ 8,281 ათასი და ₾ 4,213 ათასია.

*სხვა მარაგები მოიცავს სამშენებლო მასალებს, რომლებიც ფლობილია დაუმთავრებელი მშენებლობისთვის და საოფისე მარაგებისა და სახარჯო მასალებისთვის.

## 10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| ათასი ლარი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 1,430 | 906 |
| გადახდილი ავანსები | 1,797 | 396 |
| სხვა | 8 | 2 |
| შემცირებული გაუფასურების ანარიცხით | (154) | (128) |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | **3,081** | **1,176** |

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებში მოძრაობები მოცემულია ქვემოთ:

| ათასი ლარი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **გაუფასურების ანარიცხი 1 იანვარს** | **128** | **116** |
| გაუფასურების ანარიცხი წლის განმავლობაში | 26 | 12 |
| **გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბერს** | **154** | **128** |

## 11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| ათასი ლარი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| ნაღდი ფული ხელზე | 37 | 18 |
| მოთხოვნამდე დასაფარი ფულადი ნაშთები | 748 | 208 |
| **სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები** | **785** | **226** |

მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები განთავსებულია საქართველოს ორ მოწინავე ბანკში, რომლებსაც Moody-ს სარეიტინგო სისტემით მინიჭებული აქვთ Ba2 რეიტინგი.

## 12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს სეზანი და კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 8,061 ათას ლარს 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2021 წელს საწესდებო კაპიტალი კიდევ გაიზარდა 1,200 ათასი ლარით და სრულად შეტანილია ფულადი სახსრებით. 2022 წლის განმავლობაში დამატებითი შენატანები არ განხორციელებულა. 2022 და 2021 წლებში დივიდენდები არ არის გამოცხადებული და გადახდილი.

## 13 ნასესხები სახსრები

| ათასი ლარი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები ბანკიდან | 15,918 | 16,671 |
| ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარისგან | 423 | 489 |
| ნასესხები სახსრები არადაკავშირებული კერძო პირებისგან | 484 | - |
| **სულ ნასესხები სახსრები** | **16,825** | **17,160** |

მოძრაობა ნასესხებ სახსრებში შემდეგია:

| ათასი ლარი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| **1 იანვარს** | **17,160** | **18,478** |
| დამატებები | 5,395 | 230 |
| პროცენტი პერიოდის განმავლობაში | 1,480 | 1,476 |
| ძირი თანხის დაფარვა | (2,978) | (505) |
| პროცენტის გადახდები | (1,392) | (1,483) |
| წმინდა სავალუტო ზარალი შემცირებული შემოსულობებით ნასესხები სახსრებიდან | (2,840) | (1,036) |
| **31 დეკემბერს** | **16,825** | **17,160** |

ბანკებიდან აღებული სესხები წარმოადგენს სხვადასხვა ვალუტაში და სხვადასხვა დაფარვის ვადებიან სესხებს, რომლებიც აღებულია სს თიბისი ბანკისგან. ქართულ ლარში დენომინირებულ სესხებს ერიცხებათ 5 % წლიური პროცენტი პლუს რეფინანსირების განაკვეთი (რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ) და მათი დაფარვის ვადა 2024 წლამდეა. სესხები ევროში არის 6-7,5% წლიური საპროცენტო განაკვეთით, რასაც ემატება 6 თვიანი Euribor და დაფარვის ვადები აქვთ 2023-2027 წლებამდე,. თავდაპირველი ხელშეკრულების პირობების საფუძველზე. კომპანიამ 2022 და 2021 წლებში დაარღვია სასესხო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური შეთანხმებები და ბანკის ყველა ნასესხებ სახსრებს აქვს მოთხოვნამდე სტატუსი. კრედიტორისგან უარის წერილი მიღებულ იქნა მომდევნო პერიოდში, რაც ადასტურებს, რომ ბანკი ამ მოვლენას დეფოლტად არ განიხილავს.

მშენებლობის პროექტების დასაფინანსებლად, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში აღებულია ლარში დენომინირებული სესხები, . ხელშეკრულების შესაბამისად, პროცენტის ნაწილს ანაზღაურებს საქართველოს მთავრობა, რასაც კომპანია აღიარებს სხვა შემოსავალად. 2021 წელს კომპანიამ ბანკიდან 230 ათასი ლარი ისესხა ახალი ქარხნებისა და მანქანა-დანადგარების დასაფინანსებლად. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ მოიზიდა დამატებითი თანხები 5395 ლარის ოდენობით ბანკიდან და არადაკავშირებული კერძო პირებისგან. ბანკიდან ევროში დენომინირებული სესხები გამოყენებული იყო ლარში დენომინირებული სესხების რეფინანსირებისთვის და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად.

## 13 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები არადაკავშირებული კერძო პირებისგან წარმოადგენს მოკლევადიან სესხებს აშშ დოლარში (წლიური საპროცენტო განაკვეთი 10%) და ლარში (წლიური საპროცენტო განაკვეთი 15%), რომლებიც მიღებულია საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების მიზნით, ერთი წლის განმავლობაში თავდაპირველი დაფარვის ვადით.

## 14 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

| ათასი ლარი | 2022 წლის 31 დეკემბერი | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|
| სავაჭრო ვალდებულება | 1,594 | 1,654 |
| მიღებული ავანსები* | 365 | 613 |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები, ნეტო | 147 | 57 |
| **სავაჭრო და სხვა ვალდებულება** | **2,106** | **2,324** |

*2021 წელს კომპანიამ მიიღო 500 ათასი ლარის ოდენობის ავანსი დაკავშირებული მხარისგან სამომავლო ფინანსური იჯარისთვის (შენიშვნა 8). 2022 წლის განმავლობაში მოხდა 329 ათასი ლარის აღიარების შეწყვეტა გეგმიური საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, დღგ-ს ჩათვლით.

## 15 ამონაგები

ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით:

| ათასი ლარი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ამონაგები შეფუთვის საქმიანობიდან* | 11,693 | 5,562 |
| სხვა** | 47 | 204 |
| **სულ ამონაგები** | **11,740** | **5,766** |

* შეფუთვის საქმიანობა მოიცავს ქაღალდის შესაფუთი ნივთების სრული სპექტრის წარმოებას, მათ შორის სხვადასხვა ზომის ქაღალდის ჭიქებს, პლასტმასის ხუფებს, ქაღალდის ყუთებს, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სწრაფი კვების ინდუსტრიაში და ეკოლოგიურად სუფთა კრაფტ ქაღალდის ჩანთებს საცხობი და სხვა პროდუქტებისთვის.

**სხვა ამონაგები მოიცავს 2022 და 2021 წლებში დაკავშირებული მხარეებისთვის სათავსოს მიქირავებას და სამშენებლო მასალების გაყიდვას.

## 16 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

| ათასი ლარი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| დასაქმებულთა გასამრჯელოები | 759 | 415 |
| გადასახადები მოგების გადასახადის გარდა | 199 | 172 |
| მივლინების ხარჯები | 63 | - |
| კომუნალური ხარჯები | 51 | 48 |
| უსაფრთხოების მომსახურების ხარჯი | 45 | - |
| უიმედო ვალის ხარჯი | 26 | 16 |
| ბანკის საკომისიო | 21 | 13 |
| მარკეტინგის ხარჯები | 8 | 51 |
| სხვა | 53 | 27 |
| **სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები** | **1,225** | **742** |

## 17 სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, ნეტო

| ათასი ლარი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ვალუტის გაცვლის წმინდა შემოსულობები/(ზარალი) (ნასესხები სახსრებიდან შემოსულობების გარდა) | (341) | (123) |
| მიღებული სახელმწიფო გრანტი | 550 | 550 |
| შემოსულობები შემცირებული ძირითადი საშუალებების გასვლისას მიღებული ზარალით | 604 | - |
| ფინანსური შემოსავალი იჯარის მოთხოვნებიდან | 166 | - |
| **სულ, სხვა საოპერაციო ხარჯები და შემოსავალი, ნეტო** | **979** | **427** |

## 18 ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, ნეტო

| ათასი ლარი | 2022 | 2021 |
|---|---|---|
| ვალუტის გაცვლის შემოსულობა/(ზარალი), წმინდად , ნასესხები სახსრების გარდა | 2,840 | 1,037 |
| საპროცენტო ხარჯი | (1,480) | (1,476) |
| **სულ ფინანსური შემოსავალი და ხარჯები , ნეტო** | **1,360** | **(439)** |

## 19 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

**სასამართლო დავები.** ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანიის წინააღმდეგ ზოგჯერ სასამართლოში შეიძლება სარჩელი იქნეს შეტანილი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ანარიცხებს არ ასცდება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

**გარემოსდაცვითი საკითხები.** საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

**კლიმატის ცვლილების გათვალისწინება.** კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და ზრუნვაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროების მიხედვით გამოეხმაურება მათ.

**შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან.** კომპანიამ უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც, ძირითადად, დაკავშირებულია მის მიერ ნასესხებ სახსრებთან. მსგავსი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები კომპანიისთვის, მათ შორის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ დაარღვია გარკვეული შეთანხმებული ფინანსური პირობები სს თიბისი ბანკთან, ამგვარად, ბანკს ჰქონდა სესხების გამოთხოვნის შესაძლებლობა. კომპანიამ სს თიბისი ბანკისგან შემდგომ პერიოდებში მიიღო უარი, რომელიც დათარიღებულია 2023 წლის 5 იანვრით და 2022 წლის 12 ივლისით, შეთანხმებული პირობების დარღვევის თაობაზე 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, ვალდებულების ვადიანობის ანალიზისთვის ზემოაღნიშნული სესხები ორივე საანგარიშგებო პერიოდისთვის ანგარიშგებებში შესულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

## 20 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია კომპანიის უნარის - გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ - დაცვა იმისათვის, რომ შეძლოს მფლობელისათვის უკუგების უზრუნველყოფა და შეინარჩუნოს ოპტიმალური კაპიტალ-სტრუქტურა კაპიტალის ღირებულების შესამცირებლად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან შეასწოროს კაპიტალ-სტრუქტურა. კომპანიის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო ₾10,307 ათასი (2021 წლის 31 დეკემბერი: ₾ 5,875 ათასი).

## 21 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის მარტში სეზანი ჯგუფმა იიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, გაესხვისებინა საკუთრება, შპს ჯორჯიან ფექიჯინგში. ჯგუფმა წარმატებით მიჰყიდა შპს ჯორჯიან ფექიჯინგის 90% წილი შპს Paper Investment Group-ს 5,500 ათას ლარად.

**შპს ჯორჯიან ფექიჯინგი**

**მმართველობის ანგარიშგება**

**საქმიანობის მიმოხილვა**

(2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის)

შინაარსი


1. კომპანიის ბიზნეს განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა.....1

2. საწარმოს მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა.....1

3. მთავარი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები .....1

4. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები.....2

5. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები.....2

6. მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოო მიზანი და პოლიტიკა ფინანსურ რისკთან მიმართებაში.....3

7. კომპანიის საოპერაციო გარემო.....4

**კომპანია ჯორჯიან ფექიჯინგი**

**მმართველობის ანგარიშგება–საქმიანობის მიმოხილვა 2022**

## 1. კომპანიის ბიზნეს განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა.

2016 წელს შპს ჯორჯიან ფექიჯინგი დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საიდენტიფიკაციო ნომრით: 4040521629. 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ერთადერთი მესაკუთრე იყო შპს სეზანი.

კომპანიის მისიაა თავის მომხმარებელს შესთავაზოს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტები, რომელიც დამზადებულია უმაღლესი ხარისხის ქაღალდისა და სხვა ნედლეულისგან. იმისათვის, რომ განვითარდეს და შენარჩუნდეს ხარისხის განვითარება და წარმოების კარგი პრაქტიკა, კომპანიაში საერთაშორისო სამუშაო ადგილის და საკვების სტანდარტების უკანასკნელი მოთხოვნების შესაბამისად ინფრასტრუქტურული დაგეგმარება და ყოველდღიური წარმოების პროცესი ინერგება.

2022 წელს კომპანიამ აღრიცხა ₾ 11,740 ოდენობის ამონაგები და წმინდა მოგებამ შეადგინა ₾ 4,432 (ათასებში). მთლიანი მოგების მარჟა 29%, იყო, სადაც ჩადებულ კაპიტალზე შემოსავალმა (ROCE) შეადგინა 30% 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის. თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 83, მათ შორისაა 33 ქალი.

**კომპანიის სამომავლო განვითრების გეგმები.**

ბოლო წლების განმავლობაში კომპანია მეტად გაიზარდა ვიდრე გასულ წლებში. მდგრადი ზრდის და გაფართოების გამო, კომპანია 2022 წელს გადავიდა ახალ შენობაში, რომლის მშენებლობა ცოტა ხნის წინ დასრულდა და სრულად დაფინანსდა ჯორჯიან ფექიჯინგის მიერ. წარმოების ფართობი ახალ შენობაში 3-ჯერ მეტი იქნება არსებულზე, რომელიც საოპერაციო იჯარით არის ნაქირავები, რაც კომპანიას სთავაზობს პროდუქციის ხაზების გაფართოების შესაძლებლობას.

გადასვლის შემდეგ, კომპანია კონცენტრირდება პროდუქციის პორტფელის და ბაზრის განვითრების მრავალფეროვნების გაზრდაზე. კომპანიის ამჟამინდელი სტარტეგიული მიმართულება აქცენტს აკეთებს საერთაშორისო ბაზრებზე შესვლაზე და საერთაშორისო ტენდერებში მონაწილეობის შესაძლებლობების აქტიურ ძიებაზე.

## 2. საწარმოს მიერ განხორციელებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2022 წლის განმავლობაში კომპანია არ იყო ჩართული კვლევისა და განვითრების საქმიანობაში.

## 3. მთავარი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

მთავარი ფინანსური მაჩვენებლის ანალიზი შემდეგია:

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| **ამონაგები** | **11,740** | **5,766** |
| **მთლიანი მოგება** | **3,459** | **1,553** |
| მთლიანი მოგების მარჟა | 29% | 27% |
| **წმინდა მოგება** | **4,432** | **727** |
| მოგების მარჟა | 38% | 13% |

## 4. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული თანხების დამატებითი განმარტებები

2022 წელს კომპანია შეთანხმდა უკეთეს საკრედიტო პირობებზე ადგილობრივ ბანკთან, რითაც ლარში აღრიცხული სესხები დაკონვერტირდა ევროში.

## 5. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკი საანგარიშგებო პერიოდებში. მთავარი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები შემდეგნაირია:

| | **2022** | **2021** |
|---|---|---|
| ვალი აქტივებზე | 65% | 77% |
| ვალი კაპიტალზე | 184% | 332% |
| ლევერიჯი | 2.84 | 4.32 |

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე კოეფიციენტი შესაბამისად იყო 0.33 და 0.19.

## 6. მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოო მიზანი და პოლიტიკა ფინანსურ რისკთან მიმართებაში

მთავარი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

| რისკისა და განუსაზღვრელობის განმარტება | ხელმძღვანელობის პასუხი |
|---|---|
| **პოლიტიკური რისკები –**სასკოლო წიგნები სახელმწიფოს მიერ მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცემა ყოველ წელს. ვინაიდან მშობელი კომპანია (შპს სეზანი) წარმოადგენს სასკოლო წიგნების ბეჭდვის ერთერთ მთავარ კონტრაქტორს, გაყიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი სასკოლო წიგნების ბეჭდვის ტენდერიდან მოდის. აღსანიშნავი ფაქტია, რომ, 2020 წელს მშობელი კომპანია არ მონაწილეობდა ტენდერში და ამით მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო დაკარგა. ეს არის რისკი, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული ყოველწლიურად. | მშობელი კომპანიის დაარსებიდან, წარმოების პირველი ხაზი წიგნები იყო. ასე რომ, წიგნების ბეჭდვის ინდუსტრიაში 24 წლიანი გამოცდილების და უმეტესობა გამომცემლობებთან კავშირების გამო კომპანიას კონკურენტების წინაშე უპირატესობა გააჩნია და ყოველთვის მზადაა მოულოდნელი და გამომწვევი სცენარებისთვის. მეორეს მხრივ, მშობელ კომპანიას აქვს ყველაზე დიდი აღჭურვილობის ბაზა . 2021 წელს იგი კვლავ მონაწილეობდა სასკოლო წიგნების ბეჭდვაში, როგორც ქვე-კონტრაქტორი. 2022 წელს კომპანიამ მოიგო ტენდერი და გახდა მთავარი კონტრაქტორი. აღსანიშნავი ფაქტია, რომ კომპანია სტაბილურად ინარჩუნებს 20-30%-იან წილს სახელმწიფო ტენდერში, რაც ამყარებს მის პოზიციას ქვეყნის ბაზარზე. |
| **სავალუტო რისკი -** მასალების შეძენა უმეტესწილად უცხოური ვალუტით ხდება საკრედიტო პირობებით, თუმცა გაყიდვების უმეტესობა ადგილობრივ ვალუტაშია წარმოებული. არსებობს პოტენციური ზარალის რისკი ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო. | ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ, კომპანია მეტად ორიენტირებული იქნება ექსპორტზე. გაზრდილი უცხოური ამონაგები გადაფარავს ქართული ლარის იმ მერყეობის რისკს, რომელსაც იგი ისტორიულად განიცდის. ასევე, 2022 წელს ლარი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით გამყარდა წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით. ადგილობრივი კურსის ზრდის ტენდენცია აღინიშნება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომაც, რაც ამცირებს მასალების უცხოურ ვალუტაში შეძენით გამოწვეული ზარალის რისკს. |

## 7. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში.

პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკამ 10.5%-იანი აღმასვლა განიცადა, ძირითადად შემოდინებების განახლებისა და შიდა მოთხოვნის ზრდის გამო. რაც შეეხება 2022 წელს, რეალური მშპ 10.1%-ით გაიზარდა და ლარი მყარ ვალუტებთან, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით გამყარდა.

რუსეთის სამხედრო შეჭრას უკრაინაში უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია საქართველოს ეკონომიკაზე, პირიქით გაზრდილმა მიგრაციამ და ტურიზმის აღდგენამ დადებითად იმოქმედა მრავალ ინდუსტრიაზე. კომპანიას არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი პირდაპირი დაქვემდებარება რუსეთზე, უკრაინასა და ბელარუსზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ეკონომიკურ მდგომარეობას არსებულ გარემოში და თვლის, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

_____

ტარიელ შავერდაშვილი
დირექტორი

2023 წლის 29 სექტემბერი